ხელშეკრულება №02/328

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

გამარტივებული შესყიდვა

(პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა სამედიცინო სამსახური)

ქ. თბილისი 08 აგვისტო 2011 წელი

ერთის მხრივ,

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 42,
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი არსოშვილის სახით,
საიდენტიფიკაციო კოდი: №204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ა/ა № 200122900;
(შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ,

შპს „ავერსი-ფარმა"
მის: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის გამზ.148/2
წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ირაკლი ფურცელაძის სახით
საიდენტიფიკაციო კოდი: 211386695
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE06BG0000000122932100
(შემდგომში "მიმწოდებელი")

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მედიკამენტების შესყიდვა, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს დანართში აღნიშნული საქონელი. (CPV კოდი -33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები)

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და უწევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საჭიროებისათვის მედიკამენტების შეყიდვა.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია ფასების ცხრილში - დანართი N1, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3 ხელშეკრულება გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის N-200 განკარგულების საფუძველზე.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (ანგარიშფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების გამოწერით).

3.2 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებას აწარმოებს სამედიცინო ანალიზის, კონტროლისა და მომარაგების სამმართველოს უფროსი გიორგი ფრუიძე.

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით ლარებში.

4.2 დაფინანსების წყარო: 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

4.3 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე და სხვა დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები და ა.შ.) წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

5. ფასები

5.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

5.2 შესყიდვი ობიექტის დეტალური განფასება მოცემული დანართში N1;

5.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **14498.88 (თოთხმეტი ათას ოთხას ოთხმოცდათვრამეტი ლარი და 88 თეთრი)** ლარს.

6. საქონლის მიწოდების პირობები,ხარისხი და გარანტია

6.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დანართი #2-ში მითითებულ მისამართებზე, მოთხოვნის შესაბამისად.

6.2 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6.3 მიწოდებულ საქონელზე ვარგისიანობის ვადა ვრცელდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 70%-სა.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრულ ვარგისიანობის ვადის პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

7.2 კონტროლს განახორციელებს სამინისტროს – სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო საქონლით და მედიკამენტებით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ფრუიძე.

7.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ს.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

11.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.5 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.6 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.7 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების ენა

14.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

14.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', ორი ეგზემპლარი - ,,შემსყიდველთან''.

15. **შეტყობინება**

15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. **გადასახადები და დაბეგვრა**

16.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

18. **სხვა პირობები**

18.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

18.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	შპს „ავერსი-ფარმა“
გიორგი ბარამიძე	ირაკლი ფურცელაძე

ფასების ცხრილი

#	მედიკამენტების დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი
1	ნიღაბი სამედიცინო	1300	0,1534	199,42
2	ამბროქსოლი 30მგ #20ტ (კიევი)	100	1,02	102,00
3	მელონი #30ტ	17	3,54	60,18
4	ჰიდროკორტიზონი 1% 10მგ მალ(ნიჟფ)	36	1,03	37,08
5	დერმოვეიტი 0.05% 25გ მალამო	34	5,38	182,92
6	დექსამეტაზონი 0.4% 1მლ #5ა	128	1,04	133,12
7	პრედნიზოლონი მ-მო 0.5% 10გ(ნიჟფ)	38	0,76	28,88
8	სანაფლანის მალ 0.025% 15გ (ნიჯფ)	45	1,12	50,40
9	ცელეტროდერმი V 15გ კრემი	60	2,70	162,00
10	სინაფლანის მალ 0.025% 15გ (ნიჟ)	9	1,11	9,99
11	ტავეგილი 1მგ #20ტ	75	6,68	501,00
12	ტავეგილი 2მგ/2მლ #5ა	27	7,86	212,22
13	პიპოლფენი 2.5% 2მლ #10ა	15	9,47	142,05
14	ცეტეკი 10მგ #20ტ	188	3,70	695,60
15	აქსენ-ფორტე 550მგ #10ტ	75	5,85	438,75
16	ეფექტი ც #10ტ შუშხუნა	70	2,70	189,00
17	იბუპროფენი 0.2გ #50ტ	160	0,85	136,00
18	ინდომეტაცინი 25მგ #30დრ (ბალკნფ)	235	0,25	58,75
19	ინდომეტაცინი მალამო 10% 40გ	134	0,85	113,90
20	კარდიოფორსი 150მგ #30ტ	68	2,25	153,00
21	ასპირინი კარდიო 0.1გ #20ტ	25	5,65	141,25
22	ბეტადინი მალამო 20გ	11	7,00	77,00
23	ეფიზოლი #20ტ	35	1,55	54,25
24	იოდინოლი 100მლ ფლ (თბ)	90	0,85	76,50
25	კასტელანი თეთრი 25მლ (თბ)	112	1,30	145,60
26	კოლხური მალამო 25გ ტუბ	24	3,90	93,60
27	ფარისნგოსეპტი #20საწ.ტ ლიმონით	38	4,90	186,20
28	გიოქსიზონის მალამო 10გ (ნიჟფ)	29	1,35	39,15
29	მიკონაზოლი 2% 15გ კრემი (ბორის)	128	1,35	172,80
30	დიაზეპამი 10მგ #20ტ	417	1,43	596,31
31	ზოლომაქსი 0.5მგ #30ტ	208	6,14	1277,12
32	კაფსიკამი 50გ მალამო	25	4,85	121,25
33	კეტამო 10მგ #10ტ	735	1,15	845,25
34	კეტამო 30მგ/1მლ #10ა	252	4,97	1252,44
35	ნი-შპა 40მგ #100ტ	43	4,59	197,37
36	ოტიპაქსი 16მლ ყურის წვ	40	4,50	180,00
37	პლატიფილინი 0.2% 1მლ #10ა (ბათფ)	120	1,50	180,00
38	ციტრამონი #6ტ (დარნიცა)	750	0,20	150,00
39	ესენციალე N ფორტე N 300მგMG #30 KAF	30	7,78	233,40
40	ენოზიდი-H 10მგ/25მგ #20ტ	455	2,78	1264,90

41	კვადრიცა 10 10მგ #30ტ	50	3,86	193,00
42	კორენიტეკი 20მგ/12.5მგ #14ტ	11	6,00	66,00
43	პრესტარიუმი 10მგ #30ტ	12	18,60	223,20
44	კაპტოპრილ(კაპტი) 12.5მგ #50ტ	287	2,02	579,74
45	ანაპრილინი 0.01გ #50ტ	80	1,51	120,80
46	ანაპრილინი 0.04გ #50ტ	12	0,37	4,44
47	ფუროსემიდი 40მგ #50ტ	21	0,55	11,55
48	ლერონი 40მგ/5მგ #50ტ	28	5,76	161,28
49	იზოდინიტი 10მგ #60ტ	35	0,75	26,25
50	ნიტრომინტი აეროზოლი 10მგ	30	5,47	164,10
51	ნიტროსორბიდი 0.01გ #40ტ(კიევი)	25	1,00	25,00
52	ვალერიანის ექსტრ. #50ტ(ბელ)	838	0,28	234,64
53	კორსიზი #10ტ	292	0,55	160,60
54	ნოვო-პასიტი #10ტ	30	3,90	117,00
55	ადაპტოლი ავერსი 300მგ #20ტ	100	5,18	518,00
56	გრანდაქსინი 0.05გ #20ტ	67	6,31	422,77
57	რექსეტინი 20მგ #30ტ	7	27,98	195,86
58	დურამოქსი 0.5გ #10	120	1,70	204,00
59	უროპიმიდი 400მგ #20 (პალინი)	18	10,00	180,00
	სულ 59 დასახელება			**14498,88**

შემსყიდველი:

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და
იურიდიული დახმარების საკითხთა
სამინისტრო

_____
გიორგი არსოშვილი

მიმწოდებელი:

შპს „ავერსი-ფარმა“

_____
ირაკლი ფურცელაძე

საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი:

ზემოაღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 5 (ხუთი) სამუშაო დღეში, შემდეგ მისამართებზე:

1. **#1 პატიმრობის და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულება,** მის: გორგასლის ქ. # 85. (მთ. ექ. თ. თავბერიძე. 877222839);
2. **#2 პატიმრობის და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულება,** მის: ქ.ქუთაისი, ხარებავას ქ. #85, (მთ. ექ. ნატალია კოხრეიძე 877 222 851);
3. **#3 პატიმრობის და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულება,** მის: დაბა ხელვაჩაური, (მთ. ექ. ზურაბ ორაგველიძე 877 222 835);
4. **#4 პატიმრობის და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულება** მის: ზუდიდი, დადიანის ქ. #9 (მთ.ექ. გიზო ლემონჯავა 877 222 813);
5. **#5 ქალთა პატიმრობის და ნახევრად ღია თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულება,** მის: ქ. რუსთავი, სოფ. მთისძირი. (მთ. ექ. გია კირკიტაძე 877 222 815);
6. **#6 პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულება,** მის: ქ. რუსთავი, სოფ. მთისძირი. (მთ. ექ. გია კირკიტაძე 877 222 815);
7. **#7 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულება,** მის: გულუას ქ. 31. (მთ. ექ. ავთანდილ ვაშაყმაძე 877 222 849);
8. **#8 პატიმრობისა და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულება,** მის: თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, მე-2 კმ. (მთ. ექ. გია ადეიშვილი 877 222 832);
9. **#9 ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება,** მის: ქ.თბილისი, ტბელ-აბუსერიძის ქუჩა; (მთ. ექ. პაატა გრიგალაშვილი 877 222 812)
10. **#11 არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულება,** მის: ქ. თბილისი, გრ. ხანძთელის ქ. 33. (მთ. ექ. მანანა ელეფტეროვა 877 222 841);
11. **#12 ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება,** მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. #77, (მთ. ექ. ელგუჯა ხარაბაძე 877 222 839);
12. **#13 ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება,** მის: ხონი. ჩაის მეურნეობა (მთ. ექ. გრიგოლ რევიშვილი 877 285 149;
13. **#14 ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება,** მის: წყალტუბო, გეგუთი, (მთ. ექ. დავით გოგსაძე 877222639);
14. **#15 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება,** მის: ქსანი, (მთ. ექ. ნანა მაღრაძე 877 222 823);
15. **#16 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება,** მის: ქ.რუსთავი, მშენებელთა ქ. #60. (მთ. ექ ბადრი თეზელეშვილი) 877 222 638);
16. **#17 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება,** მის: ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. #64. (მთ. ექ. ზურაბ აფციაური 877 222 834) ;
17. **#18 სჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულება,** მის: თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ. მე-2 კმ. (მთ. ექ. ვლადიმერ ხარებაძე 877 222 383);
18. **#19 ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება,** მის: ქსანი, (მთ. ექ. ოთარ ტრაპაიძე 877285076).

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	შპს „ავერსი-ფარმა“
გიორგი ანსორმეფერი	ირაკლი ფურცელაძე

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 8/08/11

მიმწოდებელი: შპს "ავერი ფარმა"

ხელშეკრულების № 02/328

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლს "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელარსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ აღნიშნულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

ვიზირებულია:

გიორგი არსოშვილი _____

ამირან ჯეგისაშვილი _____

დავით ასათიანი _____

დავით ენდელაძე _____

ნინო ზაალიშვილი _____

გიორგი ფრუძე _____

საქართველოს მთავრობის

განკარგულება

№200 2011 წლის -31 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საქონლის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა სამედიცინო სამსახურისთვის" გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში (ორგანიზაციული კოდი – 27 01 02), ფასების წინასწარი საბაჭრო

1370

კვლევის ჩატარების საფუძველზე, გამარ
ყიდვის საშუალებით განახორციელოს მ
და სამედიცინო დანიშნულების საქონლი
შესყიდვა.

პრემიერ-მინისტრი ნიკ